ტესტი თოფურიას ბიბლიო კორპუს

~~205~~
204

287 1 904

287 1 904

დასკანირებულია
16 01 2025

„ცისკარი", 1962 № 11

საყურადღებო ლიტერატურული წერილები

ბიბლიოგრაფია

ქართველ ლიტერატურისმცოდნეთა რიგებს უკანასკნელ წლებში რამდენიმე ფრიად ნიჭიერი და ორიგინალური ძიების უნარით დაჯილდოებული მეცნიერ-მუშაკი შეემატა. მათ შორის ფართო მკითხველმა სახოგადოებამ ვიმოვნებით გაიცნო დოც. **აკაკი თოფურია** თავისი პირველივე საყურადღებო წიგნებით „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა" (I და II წიგნი, გამოცემული 1957 წ. და 1959 წ.). ეს იყო ახალი სიტყვა ამ დარგში, ე. წ. გაუხეხელ ყამირზე გაბედული სვლა, რაც ავტორის დამსახურებული წარმატებით დაგვირგვინდა. ეს წიგნები ჯერჯერობით ძირითად სახელმძღვანელოდ რჩება პედინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.

ამ მეტად სარგებლიან მეცნიერულ-პედაგოგიურ წვლილს აკ. თოფურიამ კანონზომიერად შეუთავსა ახლებური მიდგომა ლიტერატურის მთელი რიგი საკითხებისადმი, რომელთა შესახებ ავტორის დაახლოებით ათწლეულის ნაკლებ-ნაზრევი თავმოყრილია მისსავე წიგნში **„წერილები ლიტერატურულ საკითხებზე"** („საბჭოთა მწერალის" გამომცემლობა, 1960 წ., ტირაჟი 3.000).

ამ წიგნით კიდევ ერთხელ ცხადი ხდება ის, თუ მისი ავტორი როგორ ვერ ეპუება გატკეპნილი გზით სიარულს, რომ მის პუბლიცისტურ-კვლევით აზროვნებაში მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად აღიარებულია სწრაფვა ორიგინალობისაკენ, ამა თუ იმ ლიტერატურული მოვლენისა თუ საკითხის ახლებურად გაგება-გარკვევისაკენ. ეს, რა თქმა უნდა, დიდი პლუსის მანიშნებელია ავტორის სწორი მეთოდოლოგიური თვალთხედვისა და, რაც მთავარია, ამასთანავე ნათელყოფს მის მყარ, საფუძვლიან ცოდნას.

დოც. აკაკი თოფურიას თავის ამ ახალ წიგნში შეტანილი აქვს ექვსი წერილი, რომელნიც მოცულობათა მიუხედავად მკითხველებში საკმაო ინტერესს აღძრავენ.

„სოციალისტური რეალიზმის სათავეების შესახებ" —ასე ეწოდება პირველ წერილს (გვ. 3-44). განმარტავს რა სოციალისტურ რეალიზმს, როგორც მოწინავე საბჭოთა ლიტერატურის მხატვრულ შემოქმედებით მეთოდს და მისი წარმოშობა-დამკვიდრებისათვის ისტორიული კანონზომიერებით განპირობებულ მოვლენებს, აკ. თოფურიას ღრმა გაანალიზების საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ სოციალისტური რეალიზმი ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში აღმოცენდა, კერძოდ რუსულ ლიტერატურაში მ. გორკის „დედის", ხოლო ქართულ ლიტერატურაში ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუას" შექმნასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, ორივე ეს ნაწარმოები ახახავს 1905 წლის რევოლუციის ბობოქარ ამბებს.

ამით ავტორი ნიადაგს აცლის იმ ლიტერატურათმცოდნეებს (მაგ. ან. ტარასენკოვი), რომლებიც უგულებელყოფენ სოციალისტური რეალიზმის სათავეების ძიებას რევოლუციამდელ პერიოდში და მისი წარმოშობის ისტორიას მხოლოდ 1930-იანი წლების პერიოდს უკავშირებენ.

საფუძვლიან არგუმენტებს ეყრდნობა აკ. თოფურია წერილის დასკვნით ნაწილში, როცა შედარებითს ანალიზს უკეთებს გორკის „დედასა" და ქიაჩელის „ტარიელ გოლუას", „არ შეიძლება „ტარიელ გოლუაში", —წერს აკ. თოფურია,—სოციალისტური რეალიზმის ნიშნებზე ვილაპარაკოთ და პარალელი არ გავავლოთ გორკის „დედასთან", როგორც ამ ნიშნების პირველ კლასიკურ გამოხატულებასთან მთელ ჩვენს მრავალეროვან ლიტერატურაში. ამ ორი ნაწარმოების შედარებითი ანალიზი გვარწმუნებს, რომ ლეო ქიაჩელის „ტარიელ გოლუა" ახლო დგას გორკის „დედასთან" არა მარტო თემატური აქტუალობის თვალსაზრისით, არამედ **სახეთა შექმნის, იდეების გამოსახვის მხატვრული საძელურის მხრივაც"**. (გვ. 30, ხაზგასმა ავტორისაა).

მაგრამ, როგორც ავტორი მომდევნო გვერდებზე შენიშნავს, ეს სრულიადაც არ იძლევა იმის უფლებას, რომ „ტარიელ გოლუაში" გორკის ამ ცნობილ რომანთან რაიმე მიბაძვის ნიშნები მიეწეროს. „პირიქით, — ვკითხულობთ 37-ე გვერდზე, —ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლეო ქიაჩელი, როგორც მხატვარი, სრულიად დამოუკიდებელია „ტარიელ გოლუაში".

მომდევნო წერილში „ლიტერატურული ოსტატობისათვის. მებრძოლი პოეტი" ავტორი განიხილავს ცნობილი ქართველი პოეტი-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის წიგნს „მაღალი ოსტატობისათვის". მოსაწონია აკ. თოფურიას მიერ წერილის ე. წ. პროლოგის მიძღვნა იმ საინტერესო მოვლენისადმი, რასაც ირაკლი აბაშიძის მაღალ პოეტურ შემოქმედებას ოქრის გვირგვინივით ამკობს ხალხში სიმღერად გასული მისივე პოპულარული ლექსის „კაპიტან ბუხაიძის" შექმნა. ნამდვილი პოეტური შთაგონებით ამეტყველებულ ამ ლექსში ხალხის სულიკაც გრძნობები, ბამბულისადმი სიყვარული, ქართველი მეომრის უკვდავებაა ჩაქსოვილი. ეს არაჩვეულებრივი შინაგანი წრფელი ამღერება და ოსტატური გამოხატვა ი. აბაშიძის მთელი პოეზიის მთავარი ნიშანდობლივი თვისებაა.

„ახლა კი,—წერს აკ. თოფურია,— როცა ფართო სამღერეწიო ასპარეზზე გასული პოეტის შემოქმედებითი გამარჯვების ლიტერატურულ-თეორიულ საფუძვლებში უფრო ღრმად ვიხედებით, მე არ შემიძლია ირაკლი აბაშიძეზე ნაფიქრი და ნაგრძნობი უნებლიეთ არ დავუკავშირო მის პატარა წიგნს „მაღალი ოსტატობისათვის", რომელშიც ცხადად და ნათლად არის გაშუქებული მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის მთელი რიგი კარდინალური საკითხები" (გვ. 47).

ეს საკითხები შეშდეგია: პრძოლა ლიტერატურაში „წმინდა ხელოვნების" წინააღმდეგ, სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დიდი როლი და მნიშვნელობა, ფორმისა და შინაარსის ერთიანობის, ხელოვნებაში ზომიერებისა და მხატვრული სიმარტლის გრძნობის, პოეზიაში ლირიკის როლის გაძლიერების, ნაციონალური ხასიათის, ნაციონალური და ინტერნაციონალური მოტივების პრობლემები და სხვ. აკ. თოფურია დაუდებით შეფასებას აძლევს ი. აბაშიძის წიგნში მოთავსებულ სტატიებსა და სტატიებს, რომლებითაც „ი. აბაშიძე ჩვენ წინაშე კიდევ უფრო ძლიერად გამოჩნდა თავისი პოეტური პრაქტიკით და მახვილი თეორიული მოსაზრებებით მაღალი ლიტერატურული ოსტატობისათვის ერთ-ერთ თანმიმდევრულ და ბოლომდე შეუპოვარ მებრძოლად..." (გვ. 63).

სჯობდა ვრცელია „წიგნები, სახეები და შთაბეჭდილებანი" (61-151 გვ.). მასში მიმოხილულია კ. ლორთქიფანიძის მოთხრობა „მწვანე ღილი", ლ. ქიაჩელის „დათუჩა", გ. ნატროშვილის მოთხრობების კრებული „ისევ გაზაფხული იყო", ვლ. თორდუას ნოველების კრებული „ჩიტიციცინო", გრ. ჩიქოვანის „ფართო გზაზე", ა. ლომიძის წიგნი „ზღვასა და ხმელეთზე" და „ოს ოსტროვსკად" წოდებული მწერლის დავით ჯანელიძის რომანი „უძლეველი ძალა".

საკითხის დასმის წესით აკ. თოფურიას წიგნში შეუტანია წერილი „უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფრო ღრმად შესწავლისათვის", რომელიც ავტორისავე განმარტებით მიძღვნილია „მე-19 საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მთავარი პრობლემების, შესაბამისად ახალი ქართული ლიტერატურის მთავარი პერიოდების, უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების, ტენდენციების, სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლებში ქართული ლიტერატურის მონაწილეობის, იდეურობის, ხალხურობისა და კლასობრიობის სწორად ახსნისა და გაგებისათვის" (გვ. 155).

განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს წერილი „ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი", რომელშიც გაშუქებულია ამ ორი დიდი პოეტური გენიის შემოქმედებითი ნათესაობის საკითხი. წიგნის ავტორი უარყოფს იმ გავრცელებულ ვერსიას, თითქოს ოლიმპიელი ბრძენი ილია მხოლოდ პეტერბურგში სტუდენტობის პერიოდში ეკატერინე ჭავჭავაძის მეშვეობით გაეცნო ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას. ილიას თანამედროვეთა მოგონებებში გაბნეული ცნობების საფუძველზე, ავტორი სამართლიანად ფიქრობს იმ დასკვნამდე, რომ „ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში წასვლამდე და პეტერბურგში ყოფნის პერიოდში, ვიდრე 1960 წლამდე, უეჭველია, იცნობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ სახელს, მისი პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს. ამ ნიმუშებს იგი უხდა გასცნობოდა პირველ რიგში „ცისკრის" საშუალებით, ამავე დროს გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ილია იცნობდა ბარათაშვილს ზეპირგადმოცემათა თუ ხალხში გავრცელებული ხელნაწერების გზითაც" (გვ. 215).

ასევე საფუძვლიან მოსაზრებებს ეყრდნობა წერილი „თაობათა ბრძოლაში გრ. ორბელიანის ადგილის გარკვევისათვის", რომლითაც იხურება ეს საინტერესო წიგნი. ვფიქრობთ საკმაოდ სარწმუნოა გვიზიაროთ წერილის ბოლოში ჩამოყალიბებული აკ. თოფურიას დასკვნა, რომ „მოხსნათ თვით თანამედროვეთა მიერ საყოველთაოდ აღიარებულ „ლექსთა მეფეს" (ლაპარაკია გრ. ორბელიანზე — ხაზგასმა ჩვენია კ. კ.) მის ღრმა პოეტური ლირიზმით აღსავსე შემოქმედებასთან ზოგჯერ ტლანქად მიკერებული იარლიყი". აქვე დავსძენდით, რომ წერილში წამოყენებულ ზოგიერთ დებულებას გაღრმავებაც სჭირდება.

საერთოდ აკ. თოფურიას წიგნის წაკითხვით მიღებული ჩვენი შთაბეჭდილება შეიძლება ამდაგვარად ჩამოვაყალიბოთ- ჯერ ერთი —მასში დაყენებული და ახლებურად გაშუქებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული ცხოვრებიდან და მეორე — ისინი დაწერილია აზრობრივი შინაარსის სიდა, გასაგები ენით, მოკრძალებული და დინჯი თხრობითი ტონით. მით უფრო დასანანია, რომ წიგნში აქა-იქ გაპარულია კორექტორული შეცდომები. მაგალითად: „გამოხტების" (გამოხტების ნაცვლად, გვ. 75), „გმ" (ამ ნაცვლად, გვ. 77), „უდაბნენ" (უღებენ ნაცვლად, გვ. 95), „ამაფრებს" (ამძაფრებს ნაცვლად, გვ. 101), „სტატიად" (სტადიად ნაცვლად, გვ. 166), „ხასიათისა" (ხასიათის ნაცვლად, გვ. 173), „მმსი" (მისი ნაცვლად, გვ. 235) და სხვ. სასურველი იყო წიგნის ტირაჟიც მეტი ყოფილიყო.

ყოველგვარი საფუძველია იმისა, რომ დოც. აკაკი თოფურია შემდგომშიაც თავის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში კვლავ მტკიცედ იცავს სწორად არჩეული გზით და მკითხველს მიართმევს ახალ წიგნებს მშობლიური ლიტერატურისა და თეორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემატურ საკითხებზე.

კარლო კომახიძე.

მარჯვებს!

ო- ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის მე-
სვეურთა კონტროლქვეშ იმყოფება,
ფა- ლოლიაობს ლუმუმბას მკვლელ ჩო-
მბესთან და ამავე დროს საომარ მო-
რი- ქმედებას ეწევა ლუმუმბას მიმდევა-
და რთა წინააღმდეგ. თავისი სამშობ-
ი. ლოს ამ დიდი პატრიოტის სისხლი
ას მოუწოდებს არა მარტო შურისგები-
წ- საკენ, არამედ სიფხიზლისაკენაც.
ე- ძნიმე, დრამატიზმით აღსავსე დღე-
უ- ებს განიცდის კონგოს რესპუბლიკა.
ას მაგრამ რაც არ უნდა რთული იყოს
ია- მისი ხალხის აწყოო, მიუხედავად უ-
მე. ველივესი, მომავალი მას ეკუთვნის.
ას კოლონიალიზმის დღეები დათვლილია
ძ- კონგოშიც და მთელ მსოფლიოშიც.
უ- ლუმუმბას მხეცური მკვლელობა —
ლ- ეს ბრწყინვალე კოლონიალიზმის სახო-
მ- წარკვეთის აქტია, მისი ძალისა კი
ი არა, სისუსტის დადასტურებაა. მაგ-
ბს რამ სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცი
ს საშიშია. იგი მზად არის ყველაფერი
ო გააკეთოს. ეს მან მოწამლა ფელიქს
ნ შუმიე, ეს მან აღმართა ბუდელი ბე-
რის ხელი სოლომონ ბანდარანაიკეს
წინააღმდეგ, ეს მან ესროლა ყუმბა-
- რა პრეზიდენტ სუკარნოს. ეს იგი,
მ ხიშტებისა და ზარბაზნების ტუჩების
ო ღრჭენით, ჯვრითა და დოლარით
ცდილობს ჩაახშოს აზიის, აფრიკისა
და ლათინური ამერიკის ხალხთა ერ-
ც ოვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-
რაობა, ცდილობს უკუღმა დაატრია-
- ლოს ისტორიის ბორბალი. ამაო
ცდაა! ამაოდ ამტკიცებს გამოცდილ-
ი. ებით გაბრძნილი უოლტერ ლიპმანი,
ს რომ „კარდინალურ გადაწყვეტილე-
ბებს“ კონგოს მომავლის შესახებ მი-
- იღებენ არა ლეოპოლდვილში ან
ელიზაბეტვილში, არამედ ბრიუსელ-
ი, ლონდონსა და ვაშინგტონში.
, გვინდა ამის პასუხად მოვიყვანოთ
ი სიტყვები პატრის ლუმუმბას ანდ-
ერძიდან, რომელიც მან ტისვილის
საპყრობილეში დაუწერა თავის შვი-
ლებსა და მეუღლეს: „დადგება დღე,
და ისტორია იტყვის თავის სიტყვას.
მაგრამ ეს იქნება არა ის ისტორია,
რომელსაც შეასწავლიან ბრიუსელში,
პარიზში, ვაშინგტონში ან გაერთია-
ნებული ერების ორგანიზაციაში, ეს
იქნება ისტორია, რომელსაც შეას-
წავლიან კოლონიალიზმისა და მისი
მარიონეტებისაგან განთავისუფლე-
ბულ ქვეყნებში. აფრიკა დაწერს თა-
ვის საკუთარ ისტორიას“.

და ამ ტრაგიზმითა და სიდიადით
ალსავსე ისტორიაში ღირსეულ ად-
გილს დაიკავებს პატრის ლუმუმბა,
კონგოელი დანკო, რომლის სისხლ-
დენილი გული კიდით-კიდემდე ანა-
თებს მთელ შავ კონტინენტს.

ვ. სტურუა.

„იზვესტია“.

ი ე გ ი

**საბჭოთა მოჭალაჭის უფლება-მოვა-
ლეობანი“.**

⊙ სავაგონო დეპოში საქ. კპ ფო-
თის საქალაქო კომიტეტის შტატგა-
რეშე ლექტორი ნ. გუჯაბიძე წაიკი-
თხავს ლექციას თემაზე: **„ელექტრო-
ფიკაცია კომუნიზმის ეკონომიკის
მშენებლობის ბერკეტია“.**

სურათზე: ქალაქის № 2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები საახა
წლო ზეიმის დღეებში ნაძვის ხესთან.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

საინტერესო შეხვედრა

ფოთის მე-6 საშუალო სკოლის დირექცია კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან ერთად ხშირად აწყობს საინტერესო ღონისძიებებს. ამას წინათ მოსწავლეებმა მოუწყვეს შეხვედრა სკკპ XXII ყრილობის დელეგატ ჰიდრომექანიზმების ქარხნი ზ ე ი ნ კალთა კომუნისტურ შრომის ბრიგადის ხელმძღვა ნელს გურამ გვათუას.

სუზარ გვასალია,

ფოთის მე-6 საშუალო სკოლის მო
სწავლე.

„მგზნებარე კოლხიდელის“ სიგნალის შემდე

„ხიდ-ბოგირები უვარგისია“ — ამ სათაურით დაბეჭდილ წერილს გამო ქვეყნების მწყობის კახტორიდან გვაცნობებს, რომ წერილი სისწორეს შეიცავს, ხიდ-ბოგირები უახლოეს დროში იქნება შეკეთებული.

7 იანვრის ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენციის „დახურული“ მაღაზია დაუთვალ ზონაძი“, პასუხად სამხედრო ვაჭრობის ფოთის განყოფილებიდან გვაცნობეს, რომ კორესპონდენციაში ხსენებული ფაქტები დადასტურდა. ფარდულის გა მყიდველს ბ. გვასალიას მომხმარებ ლისადმი უხეში მოპყრობისათვი გამოეცხადა საყვედური და მიეც გაფრთხილება, რომ განმეორები შემთხვევაში დაეკისრება მკაცრი სასჯე ლი.

საინტერესო თემაზე დიდი ჭკუამახვილობა

შუა საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში ვარსკვლავთმრიცხველობამ განაცვიფრებელ აყვავების მიაღწია. ასტროლოგთა წარმატებითი წინასწარმეტყველება, ცხადია, უაღრესად იშვიათი იყო, მაგრამ ისინი მაინც დიდი პატივით სარგებლობდნენ მეფის კარზე.

საფრანგეთის მეფის ლუდოვიკო XI ასტროლოგს ასეთი შემთხვევა მოუვიდა: მან, რომელიც, უთუოდ, სახალისო ინტრიგების მონაწილე იყო, სწორად იწინასწარმეტყველა მეფის საყვარელი ქალის სიკვდილი. როდესაც ქალი მართლაც გარდაიცვალა, მეფემ, რომელიც დიდი ცბიერი და ვერაგი კაცი იყო, გადაწყვიტა გასწორებოდა თავის ვარსკვლავთმრიცხველს, მან დაუძახა ასტროლოგს და ჯალათებს უბრძანა, როგორც კი ნიშანს მოგცემთ, მაშინვე აკუწეთო. შემოსულ ასტროლოგს ლუდოვიკო XI მიმართა: „ახ შენ თავს იმდენად დახელოვნებულად თვლი, რომ ძალიან კარგად იცი სხვების ბედი: ერთი მითხარი, შენ თვითონ რამდენი ხნის სიცოცხლე დაგრჩა?“.

საბრალო წინასწარმეტყველი მიხვდა მეფის ბოროტ განზრახვას, მაგრამ ხაფანგიდან გამოსავალი ნახა და უპასუხა: „თქვენო აღმატებულებავ! ვარსკვლავებმა მიჩვენეს, რომ უნდა მოვკვდე სამი დღით ადრე თქვენს გარდაცვალებამდე!“.

ცრუმორწმუნე დესპოტი, ასეთი მოულოდნელი პასუხით შეშინებული, იძულებული იყო დაეტოვებინა შურისძიების გრძნობა და რისხვა მოწყალებით შეეცვალა. მან არ მარტო უვნებლად გაუშვა თავისი ვარსკვლავთმრიცხველი, არამედ ზრუნვაც კი დაიწყო მის ჯანმრთელობაზე.

დღეს კინოებში

ქალაქის საზამთრო კინოთეატრ კომუნაში ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ფილმი „**საბედისწერო მეჩხუბრე**“; ფართოეკრანიან კინოთეატრ „კომკავშირელში“ — „**შემთხვევითი შეხვედრა**“.

სეანსების დასაწყისი: საზამთროში — 4, 6, 8, 10 ს. „კომკავშირელში“ — 3, 5, 7, 9 საათზე.

რედაქტორი აპ. ტიკარაძე

შვილები მარიკა და ოტია ჭყონიები, და ლიზა წითლიძე, სიძე იოსელიტე გაწურელია, რძალი შურა ჭყონია, შვილიშვილები ცისანა, ჯემალი, ლეილა, ვარლამი, ციცინო და ჯანსუხი, რძალი ერო ჭარციავაძე და სიძე მიხაკო წითლიძე ოჯახებით იუწყებიან **ნინუცა მათეს ასულ ჭარციავაძე-ჭყონიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 28 იანვარს ნინოშვილის სასაფლაოზე. გამოსვენება ჩქალოვის ქ. № 54 საღ. 5 საათზე, პანაშვიდი 27 იანვარს საღ. 7 ს.

რძალი ოლღა შვილებით: ზინა, შურა, კლარა, გურამი, ბოჩო და შურა ციცქარავები, სიძეები: დათიკო ჭიჩანეიშვილი, ვალიკო ჭაჭია, [illegible]

ძეუღლე ივლიტა, დედა მარო, შვილები ჟორა, გიგუშა, ედვარდი, ლია, ლიუსა, გულნარა, ძმისადაო, რძლები მარგო, გული, სიძე ჯვებე როგავა, შვილიშვილები ოთარი, ბადრი, სოსო, ნაირა და იური ძმები მიშა და ანგული, დები ნადია, ივლიტა, ვერა, თამარა, რძალ ციალა ოჯახებით იუწყებიან

გრიგოლ (გრიშა) ილარიონის-ძე ფაჩუაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 27 იანვარს, ცხაკაიაში საკალანდარაშვილოს სასაფლაოზე. გაიმოსვენება რუსთაველის ქ. № 72, საღ. 5. ს. პანაშვიდი 26 იანვარს საღ. 7 ს.

ქალუშა და ვალერიან შვილებით ჯუბაერი და ლენათი და შვილიშვილებით ლეილა და მანანათი

მამიდა მაშო, ბიცოლა პაშა, მამიდაშვილები თამარა და შალიკო ქავთარაძეები, ვიქტორა და დათიკო ხოფერიები, ცირუ ხაინდრავა, ბიძაშვილები: ნინო შვილებით, ვენერა, ნესტორი, ბაბუცა, ქეთო, ლუშა, თამარა, ლეო, შოთა, ამირან ფაჩუაშვილები; სიძეები პეტრე კიზირია, ვალიკო გოგინავა, ცოცი ხაინდრავა ოჯახებით იუწყებიან **გრიშა ილარიონის-ძე ფაჩუაშვილის** გარდაცვალებას, დაკრძალვა შაბათს, 27 იანვარს ქ. ცხაკაიაში, რუსთაველის ქ. № 72.

ციცინო, მერი, დათიკო, ბურდი ელიები შვილებით, მარუსია შვილით ბუხუტით ქორქიები იუწყებიან **ვარვარა წუწუნავა-ციცქარავას** გარდაცვალებას.